

შპს „ნიუ ფარმა New Pharma“
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის ძირითადი საკითხები .	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12
5. საქონლის თვითღირებულება	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
7. ფინანსური ხარჯი	13
8. ფული და ფულის ექვივალენტები	13
9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	13
10. ძირითადი საშუალებები	14
11. არამატერიალური აქტივი	14
12. მოკლევადიანი სესხები	15
13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს „ნიუ ფარმა New Pharma“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	5,011,975
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	(2,652,053)
საერთო მოგება		2,359,922
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,788,177)
ფინანსური ხარჯი	7	(59,385)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,487,640)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(1,487,640)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული შემოსავალი		(1,487,640)



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1,392	11,983
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		449,432	2,252,599
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	152,218	84,109
გადახდილი ავანსები		9,000	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		612,042	2,348,691
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	36,832	50,587
არამატერიალური აქტივები	11	522	522
სულ გრძელვადიანი აქტივები		37,354	51,109
სულ აქტივები		649,396	2,399,800
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
ბანკის სესხი (ოვარდრაფტი)	12	61,582	-
სავაჭრო ვალდებულებები		937,274	1,829,564
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		104,270	150,521
მიღებული ავანსები		74,679	-
საგადასახადო ვალდებულება		9,682	62,549
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	597,678	-
სულ ვალდებულებები		1,785,165	2,042,634
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(1,135,769)	357,166
სულ კაპიტალი		1,135,769	357,166
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		649,396	2,399,800



შპს „ნიუ ფარმა New Pharma“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	-	357,166	357,166
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	(1,487,640)	(1,487,640)
დივიდენდი	-	-	(5,295)	(5,295)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			(1,135,769)	(1,135,769)



შპს „ნიუ ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი):		(1,487,640)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	12,482
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		1,803,167
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(68,109)
სხვა დანახარჯები		(61,661)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(817,611)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(619,372)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(3,495)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10	4,768
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		1,273
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	12	612,804
გაცემული დივიდენდი		(5,296)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		607,508
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	8	11,983
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(10,591)
31 დეკემბრის მდგომარეობით	8	1,392



განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიუ ფარმა New Pharma“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 417879969, დაფუძნდა 2013 წელს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ. გორი, ცაბაძის ქ., კორპ. №5, ბ.32., რომლის ფაქტიური მისამართია - საქართველო, თბილისი 0154, ი.ევედოშვილის ქ. №18.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თენგიზ თოფჩიშვილი	25.00%
მეგი ბურჭულაძე	25.00%
ნანა ლაზარიაშვილი	16.60%
დავით ჩქოფოია	16.60%
ნინო ბუძალაძე	66.80%

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 89 და 89 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედული 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

მსს ფასს- ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი საგადასახადო აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს გარკვეულ სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით განსაზღვრული მე-3 კატეგორიის ტიპის საწარმოთათვის შეღავათს ითვალისწინებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

(ა) შემოსავლები ფარმაცევტული საქონლის მიწოდებიდან

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი საშუალო კურსი 2018 წლის	2.5355	2.9913

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
საოფისე აღჭურვილობა	5-6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	5

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საძილო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის ძირითადი საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს ფარამცევტული პროდუქციის დისტრიბუცია-რეალიზაციას, ადგილობრივ ბაზარზე. საიდანაც 94% შეადგენს დღგ-თი განთავისუფლებულ სამედიცინო საქონლის რეალიზაციის ბრუნვას.

შემოსავლები	2018 წელი ლარი
რეალიზაცია	5,970,171
ფასდათმობა	(1,046,929)
სხვა შემოსავლები	88,733
სულ შემოსავალი	5,011,975

5. საქონლის თვითღირებულება

საქონლის თვითღირებულებაში შეყვანილია მხოლოდ საქონლის ღირებულება.

თვითღირებულება	2018 წელი ლარი
საწყისი მარაგები 01.01.2018	84,109
მარაგების შესყიდვა (უკან დაბრუნება)	2,720,162
საბოლოო მარაგები 31.12.2018	152,218
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,652,053

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ხარჯის დასახელება	2018 წელი ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	1,683,795
საკონსულტაციო ხარჯი (მონიტორინგი)	1,826,081
მივლინების ხარჯი	1,170
რეკლამის ხარჯი	105,784
ცვეთა და ამორტიზაცია	12,482
საიჯარო ქირა	55,565
კომუნალური ხარჯი	224
კომუნიკაციის ხარჯი	26,868
ზარალი საკურსო სხვაობიდან	39,486
სხვა საერთო ხარჯი	36,721
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	3,788,177

7. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება ბანკის ოვერდრაფტსა და სხვა სესხებზე დარიცხული პროცენტისგან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	ლარი 31.12.2018	ლარი 01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	892	168
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	11,270
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	500	545
სულ	1,392	11,983

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

დასახელება	ლარი 31.12.2018	ლარი 01.01.2018
საქონელი	150,685	83,385
ნედლეული და მასალები	1,533	724
სულ	152,218	84,109

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ძირითადი საშუალებებიძირითადი საშუალება

ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	45,260	8,817	5,960	60,036
შეძენა	3,085	410	0	3,495
ჩამოწერა	0	0	(5,960)	-5,960
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	48,345	9,227	0	57,571

ცვეთა და გაუფასურება

ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	6,970	2,181	298	9,449
ჩამოწერა	0	0	(1,192)	(1,192)
ცვეთა წლის მანძილზე	9,750	1,838	894	12,482
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,720	4,020	0	20,739

წმინდა საბალანსო ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	38,290	6,635	5,662	50,587
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,625	5,207	0	36,832

11. არამატერიალური აქტივიარამატერიალური აქტივები

ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	630	630
შეძენა	0	0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630	630

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ამორტიზაცია

ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	108	108
ამორტიზაცია წლის მანძილზე	0	0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	108	108

წმინდა საბალანსო ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	522	522
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	522	522

12. მოკლევადიანი სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

მიღებული სესხის	თანხა	% განაკვეთი	ვალუტა
სს ვი თი ბი ბანკი (ოვერდრაფტი)	61,582	10.00%	ლარი
შპს ნიუფარმ გრუპი	97,000	11.50%	ლარი
შპს ნიუ ფარმა (ს/კ 417887139)	410,896	11.50%	ლარი
31 დეკემბერი 2018 გადასახდელი პროცენტი	43,326	-	ლარი
სულ მიმდინარე სესხები	612,804		

13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელს კომპანიამ მთლიანად დაფარა შპს ნიუ ფარმასგან (ს/კ 417887139) აღებული მოკლევადიანი სესხი და დარიცხული პროცენტი.

შპს „ნიუ ფარმა New Pharma“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიის ერთ-ერთი მესაკუთრე დავით ჩქოფოია (პ/ნ 19001024209) ამავდროულად ფლობს შპს ნიუფარმ გრუპის 33.3% (რომლისგანაც მოხდა სესხის აღება). ორივე კომპანიას: შპს „ნიუ ფარმა New Pharma“) და შპს ნიუფარმ გრუპს ყავთ საერთო დირექტორი ნიკოლოზ იმერლიშვილი

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.

